10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
10.5 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ოთხი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
11.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქალაქ კომპლექსური სპორტული
სკოლის დირექტორი

გერასიმე შეროაია

მის: ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი ქ. №-11
ს/კ № 215136564

სახელმწიფო ხაზინა

„მიმწოდებელი"

ი/მ

თენგიზ წულაია

მის: ქ. ფოთი კოსტავას 3
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE34BG0000000892697600
ს/კ №62001025730